

# მიღწეა მიზანს ჩვენთან ერთად...



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC) გთავაზობთ პერსონალის შერჩევისათვის საკვანძო კომპეტენციების შეფასების მეთოდოლოგიურად გამართულ სერვისს.

## ინოვაციური შეთავაზება დასაქმების მსურველთათვის!

კომპეტენციების დამადასტურებელი სერთიფიკატი შემდეგ სფეროებში:

- ინგლისური ენის ცოდნა;
- საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ძირითადი სააზროვნო უნარები;
- ქართული ენის ცოდნა და ფუნქციური წერა;
- საკანცელარიო უნარები.

# 4 მიზანი - რატომ შეიძლება

## დაინტერესდეთ ამ შეთავაზებით...

- **სერტიფიკატი** - დასაქმების მსურველს ექნება შესაძლებლობა სხვადასხვა ორგანიზაციაში მრავალჯერადი ტესტირების გავლის ნაცვლად ცენტრში გაიაროს შესაბამისი ტესტირება და აიღოს საკუთარი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც აღიარებული იქნება დამსაქმებელთა მიერ;
- **მიუკერძოებელი შემფასებელი** - ტესტირება ტარდება ყველა მონაწილისათვის თანაბარ პირობებში თანასწორობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით;
- **კომფორტული გარემო** - შეფასების პროცესში შექმნილია მონაწილის საჭიროებებზე მორგებული ფიზიკური სივრცე, რაც ყველა აპლიკანტს აძლევს საკუთარი ცოდნისა და უნარების მაქსიმალური გამოვლენის შესაძლებლობას;
- **ხელმისაწვდომობა** - ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეთავაზებული კალენდრიდან შეუძლია თავად აირჩიოს ტესტირების სასურველი თარიღი და სხვა სასერტიფიკაციო გამოცდებთან შედარებით საგრძნობლად დაბალ ფასად გაიაროს ტესტირება.

## შერჩევის ალტერნატიული პროცედურა:

- პროფესიონალთა გუნდი;
- უნიკალურ დავალიანათა ბანკი და ავთენტური ინსტრუმენტი;
- სანდო და ვალიდური შეფასება;
- კომპიუტერული ტესტირება;
- კომფორტული გარემო;
- მაღალთექნოლოგიური მხარდაჭერა;
- კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

## ინგლისური ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტი

ტესტი ადგენს, თუ რა დონეზე ფლობს საგამოცდო პროცესის მონაწილე ინგლისური ენის გრამატიკულ სტრუქტურებსა და ლექსიკას, ასევე იმას, თუ რამდენად აქვს განვითარებული კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარები. ინგლისური ენის ფლობის დონე განისაზღვრება საერთო ევროპული ჩარჩოს (Common European Framework of Reference for Languages) მიერ დადგენილი დონეების ანალოგიურად (A1, A2, B1, B2, C1). სერტიფიკატში აისახება, თუ რა დონეზე ფლობს ტესტირების მონაწილე ინგლისურ ენას.

## საოფისე პროგრამების ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტი

ტესტის მიზანია, განსაზღვროს საგამოცდო პროცესის მონაწილის კომპიუტერული უნარები და შეაფასოს, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას შემდეგი სფეროების მიხედვით:

- ოპერაციული სისტემა Windows და კომპიუტერი (აპარატურული უზრუნველყოფა), ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა;
- ტექსტური რედაქტორი MS Word;
- ელექტრონული ცხრილები MS Excel;
- საპრეზენტაციო პროგრამა MS PowerPoint.

## ძირითადი სააზროვნო უნარების შესაფასებელი ტესტები

აღნიშნული ტესტის ფარგლებში დამოუკიდებლად ფასდება ოთხი კომპონენტი:

### ნაკითხულის გააზრება

ტესტი ადგენს, რამდენად შეუძლია საგამოცდო პროცესის მონაწილეს ნაკითხული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება:

- ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის ამოკითხვა;
- ტექსტიდან მთავარი აზრის გამოტანა;
- ტექსტში სხვადასხვა ლოგიკური კავშირის დანახვა (მიზეზშედეგობრივი, ძირითადი და მეორეხარისხოვანი, ფაქტი და ვარაუდი და მისთ.);
- ავტორის პოზიციის ამოცნობა;
- ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა.

### ანალიტიკური წერა

ტესტი ამოწმებს აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარს – რამდენად შეუძლია მონაწილეს აზრის ცხადად, მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოცემა, შესაბამისი ლექსიკის გამოყენება, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.

სხვადასხვა ტიპის დავალებების საშუალებით მოწმდება, რამდენად შეუძლია მონაწილეს:

- შეთავაზებულ თემაზე საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება არგუმენტებითა და მაგალითებით;
- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა და სწორი დასკვნის გამოტანა;
- განსხვავებული პოზიციების (თვალსაზრისების) კრიტიკული ანალიზი, ერთ-ერთის სასარგებლოდ არჩევნის გაკეთება და მისი დასაბუთება.

## ლოგიკური მსჯელობა

ამონშებს მონაწილის უნარს, თუ რამდენად შეუძლია:

- ამა თუ იმ მიმართების სტრუქტურის ამოცნობა და მასთან დაკავშირებით მართებული დასკვნის გამოტანა;
- მოცემული მსჯელობის შეფასება, ანალიზი და კრიტიკა, რაც უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმებასა და არსებული ნაკლოვანებების გამოვლენაზეა ორიენტირებული;
- ლოგიკური ჩარჩოს რეკონსტრუირება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება არასრული ინფორმაციის საფუძველზე;
- დასმული ამოცანის გადაწყვეტა ვერბალურ-ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით;
- გარკვეული კანონზომიერების ამოცნობა აბსტრაქტული მიმართებების დამყარების საფუძველზე.

## რაოდენობრივი მსჯელობა

ტესტი მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რამდენად შეუძლია მონაწილეს არსებული რაოდენობრივი ინფორმაციის საფუძველზე, ზუსტი მსჯელობის შედეგად მართებული დასკვნის გამოტანა.

კერძოდ, გაარკვიოს:

- რამდენად იცნობს მონაწილე ელემენტარულ მათემატიკურ ცნებებს;
- რამდენად შეუძლია რაოდენობრივი სახით მიწოდებული ინფორმაციის (ცხრილების, დიაგრამების) დამუშავება, ანალიზი და გამოყენება;
- რამდენად ახერხებს რაოდენობრივი სახის ელემენტარულ მათემატიკურ დებულებებს შორის ძირითადი ლოგიკური მიმართებების დადგენას;
- რამდენად შესწევს უნარი განსაზღვროს, საკმარისია თუ არა რაოდენობრივი სახით მიწოდებული ესა თუ ის ინფორმაცია მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

## სახელმწიფო ენის ფლობის დონის განსაზღვრელი ტესტი

ტესტი სახელმწიფო (ქართული) ენის ოთხ სხვადასხვა დონეზე ფლობის უნარს აფასებს. ეს დონეებია:

- საკომუნიკაციო ქართული (I – დაბალი დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: „**ფლობს სახელმწიფო ენას მინიმალურ საკომუნიკაციო დონეზე – ენის ფლობის დაბალი დონე**“);
- ქართული ენის პრაქტიკული ფლობა (II – საშუალო დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: „**ფლობს სახელმწიფო ენას პრაქტიკულ საკომუნიკაციო დონეზე – ენის ფლობის საშუალო დონე**“);
- ქართულ ენაზე საქმის წარმოების უნარი (III – მაღალი დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: „**კარგად ფლობს სახელმწიფო ენას, შეუძლია საქმის წარმოება ქართულად – ენის ფლობის მაღალი დონე**“);
- ქართული ენის სრულყოფილი ფლობა (IV – უმაღლესი დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: „**სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას – ენის ფლობის უმაღლესი დონე**“).


## საკანცელარიო უნარების ტესტი

ტესტის მიზანი იმ სპეციფიკური უნარების შეფასებაა, რომელთაც კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება **სამუშაოთა გარკვეული ჯგუფის წარმატებით შესრულებაში**. კერძოდ, ტესტი ზომავს ინდივიდის შესაძლებლობას, წაიკითხოს და გაიაზროს ინსტრუქციები, გააანალიზოს ანგარიშები, აწარმოოს მართივი გამოთვლები, დაახარისხოს დოკუმენტაცია და სხვ. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა კომპლექსურად შეფასდეს, რამდენად შესწევს ადამიანს უნარი დროის მოკლე მონაკვეთში, რაც შეიძლება სწრაფად და აკურატულად აღიქვას სხვადასხვა სახის დეტალი (ციფრები, ასოები, სიმბოლოები, სურათები, ფორმები და ა.შ.), შეძლოს მათი ინტერპრეტაცია/ანალიზი და გამოიტანოს დასკვნები.

## ჩვენ შესახებ

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC) წარმოადგენს საქართველოში შეფასების სფეროში მოქმედ წამყვან პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია უზრუნველყოფს შეფასების სანდო და ვალიდური ინსტრუმენტების - სასერტიფიკაციო თუ სასელექციო ტესტების - შემუშავებას, ადმინისტრირებასა და შედეგების ანალიზს. **ცენტრის საქმიანობა ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპებს.**

- **ცენტრი არის ისეთი საერთაშორისო ასოციაციების წევრი, როგორებიცაა:** საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA) და გენერალური ასამბლეა (IEA General Assembly), საგანმანათლებლო შეფასების ასოციაციები (AEA და AEA-Europe), საგანმანათლებლო კვლევების ევროპის ასოციაცია (European Educational Research Association) და სხვ.
- **ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან:** Educational Testing Service (ETS Global - აშშ), Cambridge Test (დიდი ბრიტანეთი), NITE (ისრაელი), Goethe Institut (გერმანია) და **ტესტის შემქმნელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან:** Cito (ჰოლანდია), Cambridge Assessment (ინგლისი), SQA (შოტლანდია) და სხვ.
- **5 წელზე მეტია ცენტრს მოპოვებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო გამოცდის ჩატარების ლიცენზია, ისეთების, როგორებიცაა:** TOEFL IBT, TOEIC Bridge, ACCA (Association of Chartered Certified Accountant), SAT Scholastic Assessment Test, KET (Key English Test), PET (Preliminary English Test), FCE (First Certificate in English) და სხვ.
- **ცენტრის ექსპერტები კონსულტირებას უწევენ სხვა ქვეყნებს ახალი საგამოცდო მოდელების დანერგვაში, ტესტის შექმნის, ადმინისტრირებისა და შედეგების ანალიზის საკითხებში.**



მინდელის ქუჩა N9, თბილისი 0186,

[www.naec.gov.ge](http://www.naec.gov.ge)

(995 32) 2 47 33 33